საქართველოს განათლების და
მეცნიერების სამინისტრო

შპს მზეკაბანი 2

416306143

მის: 3700, ქ. რუსთავი, გ. ნიკოლაძის ქ. 16ა

ელ.ფოსტა: mzekabani@mail.ru

tel:(0341) 24 19 94

Ministry of Education and Science
GEORGIA

LTD "Mzekabani 2"

416306143

3700 Rustavi #16a g.nikoladze street.

Email : mzekabani@mail.ru

Tel: :(0341) 24 19 94

თარიღი 01.11.2024

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/107

მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 61-ე მუხლების ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 47-ე და 48-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს შპს მზეკაბანი2 რუსთავის საერო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თანდართული დებულება დანართი N1 შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დირექტორის 2023 წლის 7 სექტემბრის N2/3ა ბრძანება;
3. დაევალოს საქმისმწარმოებელს დოკუმენტი გამოაქვეყნოს სკოლის ვებ გვერდზე;
4. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის №6).

ბელა გოცირიძე
დირექტორი

დანართი N1

დამტკიცებულია სკოლის დირექტორის

2024 წლის პირველი ნოემბრის N01/107 ბრძანებით

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება

2024 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება განსაზღვრავს მოსწავლეთა სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, მოქმედების არეალს და მუშაობის წესს;
1.2. დებულებას იღებს მოსწავლეთა თვითმართველობის წევრთა უბრალო უმრავლესობით;
1.3. მოსწავლეთა თვითმმართველობა საბახო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების მიერ არჩეული ორგანოა და წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს;
1.4. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის საფუძვლებია: საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი.
1.5. მოსწავლეთ თვითმართველობაა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
1.6. დებულება ძალაში შედის მისი სკოლის დირექციასთან წარდგენისა და დამტკიცების შემდეგ.

მუხლი 2. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიზნები:

2.1. მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და წარმოდგენა, როგორც სკოლაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
2.2. მოსწავლეთა ინტერესების რეალიზება;
2.3. სკოლის ერთიანი მოსწავლეთა საზოგადოების ჩამოყალიბება;
2.4. მოსწავლეთა თავისუფალი ნების გამოხატვა;
2.5. მართვის დემოკრატიული პრინციპების შეთვისება;
2.6.მოსწავლეებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლება;
2.7. მოსწავლეთა თვითორგანიზაცია;
2.8. საინტერესო სასკოლო ცხოვრების შექმნა.

მუხლი 3. მოსწავლეთა თვითმმართველობის სტრუქტურა:

3.1. ყველა კლასის მოსწავლე თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალ[illegible] დაცვით ირჩევს თვითმმართველობის თავჯდომარეს;
3.2. არჩევნები იმართება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.
3.3. არჩევნებს ატარებს სკოლის ადმინისტრაცია;
3.4. ყველა მოსწავლეს უფლება აქვს არჩეული იყოს თავჯდომარედ;

მუხლი 4. მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის ფუნქციები

4.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა სემესტრების მიხედვით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ათანხმებს სკოლის დირექციასთან;

4.2. გადაწყვეტილების მიღება ხდება სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით;

4.3. გადაწყვეტილება ფიქსირდება სხდომის ოქმში. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 3/4 .

4.4. საკითხის განხილვისას შესაძლებელია მოწვეული იქნას სკოლის დირექციის, წარმომადგენელი. (მოწვეული სტუმარი არ სარგებლობს ხმის უფლებით);

4.5. განსახილველად საკითხის მომზადება და გამოტანა შეუძლია ნებისმიერ წევრს;

4.6. საკითხის მომზადების პროცესში წევრებს უფლება აქვთ მიმართონ დამრიგებელს, მასწავლებელს ან სკოლის დირექციის წარმომადგენელს;

4.7. თვითმმართველობის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენა სკოლის ადმინისტრაციის ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან დაუშვებელია. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

4.8. მოსწავლეთა თვითმმართველობა თანამშრომლობს სხვა სასკოლო, სამთავრობო და არასამთავრობო, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან;

მუხლი 5. მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები

5.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არეგულირებს და კოორდინაციას უწევს კლასების ორგანიზებულ მოქმედებას სასკოლო აქტივობებში.

5.2 იცავს და წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

5.4. უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებ[illegible]

5.5. ავრცელებს, ორგანიზებას უწევს და ახორციელებს მოსწავლეთა დასვენების, სწავლის [illegible] მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შეხვედრებს, დებატებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, ინტელექტუალურ თამაშებს, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, კულტურულ, სპორტულ, [illegible] და კანონით უფლებადართულ სხვა სახის ღონისძიებებს;

5.6. დაიცვას სკოლის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

5.7. ხელს უწყობს მოსწავლესა და სკოლის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთ[illegible] ჩამოყალიბებას.

მუხლი 6. ცვლილების შეტანა

6.1. დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის [illegible] მტკიცდება დირექტორის მიერ.